ბრძენი ყვავი

ეკა მესხი
ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა "ცისკარი"

გაკვეთილის სათაური -ბრძენი ყვავი

კლასი-მესამე

საგანი - ქართული და ბუნება

სასწავლო მიზანი - მოსწავლემ **ტექსტის წაკითხვამდე გამოხატოს** ზღაპრის გმირის მიმართ დამოკიდებულება, გაიხსენოს: ურბანული შეხედულებები, ზღაპრები, ანდაზა-გამოთქმები ყვავზე. **წაიკითხოს** ზღაპარი ყვავზე და გამოხატოს წაკითხული ტექსტით აღძრული ემოციები, განცდები, **ივარაუდოს, ამ ზღაპარში რა შეიძლება იყოს გამონაგონი;** ნახოს დოკუმენტური ფილმები ყვავზე და ამაზე დაყრდნობით იმსჯელოს ყვავის რეალურ თვისებებზე - დაახასიათოს მისი ქცევითი შეგუებულობა საკვების მოპოვების თავალსაზრისით და მიღებული ინფორმაციით შექმნას საინფორმაციო პოსტერი „სინამდვილეში ყვავი ასეთია".

(ქართ. III. 7.ბუნ.III.2)

მედიაწიგნიერების მიზანი: მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება

უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

ამაოდ - სულ ტყუილად

ქილა - მინის ჭურჭელი

6. საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

1. აფრიკული მოთხრობა „ბრძენი ყვავი"

2. სქემა

3. ვიდეოფილმები:

3. 1. https://www.youtube.com/watch?v=OYZnsO2ZgWo-ფილმში აღწერილია მარტივი ექსპერიმენტი ყვავის ქცევაზე - როგორ ხრის მავთულს და ამის დახმარებით მოხერხებულად იღებს ნივთს ვიწრო მინის ჭურჭლიდან.

3.2. https://www.youtube.com/watch?v=BGPGknpq3e0&feature=share - ფილმში ჩანს - ყვავი სხვადასხვა სიმაღლიდან აგდებს კაკალს, რათა გატეხოს და შიგთავსი მიირთვას.

3.3. https://www.youtube.com/watch?v=F5t93VQmkpU - ფილმში ჩანს 7 საინტერესო ექსპერიმენტი ყვავის ქცევაზე.

3.4. https://www.youtube.com/watch?v=ZerUbHmuY04 - როგორ ყრის საგნებს წყლიან მენზურაში, რათა წყლის დონემ აიწიოს და წყლიანი მენზურიდან ნივთი ამოიღოს.

7.გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა

აქტივობა პირველი (10წთ) მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს კითხვებით და სთხოვს, წყვილებში შეაჯერონ პასუხები. მასწავლებელს მოსწავლეთა პასუხები თანდათან შეაქვს დაფაზე წინასწარ დახაზულ სქემაში.

კითხვა	**სავარაუდო პასუხი**
- რა იცით ყვავის შესახებ ?	გარეული ფრინველია, ყრანტალებს, ჩხავის, ულამაზოა, სულ შავია, ბოროტია, ეშმაკია.
გაიხსენეთ მოთხრობა, ზღაპარი, მულტფილმი, რომელშიც გხვდებათ ეს ფრინველი.	მულტფილმები - „ცელქი ყვავი“, „ჩხიკვთა ქორწილი“. ზრაპრები და მოთხრობები - „ყვავი და მელა“ (კრილოვი), „თეთრი ყვავი“.
გაიხსენეთ გაგონილი ამბავი ყვავზე.	ყვავი 300 წელი ცოცხლობს, თუ დაგჩხავლა, იმ დღეს არ გაგიმართლებს.
გაიხსენეთ ანდაზები ყვავზე.	„ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო“. „ყვავი თვითონ ყარდა და ბუდეს იცვლიდაო.“ „ყვავს არ ჰქონდა, ბუს აძლევდა“. „ყვავს ბახალა უკვდებოდა და ბუს მიუგდო – დიდი თავი გაქვს და იტირეო“.

აქტივობა მეორე (5წთ) მოთხრობის კითხვა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ პატარა აფრიკული მოთხრობა **„ბრძენი ყვავი“.**

ბრძენი ყვავი

ყვავს, უკვე სამი დღე იყო, რაც წყურვილი კლავდა, მაგრამ წყლისთვის ვერსად მიეგნო. უცებ თიხის ჭურჭელი შენიშნა, რომლის ფსკერზეც ცოტაოდენი წყალი ესხა. გახარებულმა ყვავმა ნისკარტი ჩაყო, მაგრამ ამაოდ, ვერ მისწვდა, წყალი ძალიან დაბალზე იყო. მაშინ ყვავმა ქილა კენჭებით აავსო, წყალმაც ამოიწია, ყვავი თავისუფლად მისწვდა წყალს, წყურვილი მოიკლა და კმაყოფილმა განაგრძო ფრენა

აქტივობა მესამე (5 წთ) - უკუკავშირი ტექსტზე

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს კითხვებით:

- თქვენთვის მოულოდნელი იყო ყვავის საქციელი ?
- თქვენ მიერ შევსებული სქემიდან კონკრეტულად რომელი თვისება ახასიათებს ამ მოთხრობის გმირ ყვავს?

აქტივობა მეოთხე (**10 წთ)**- დავადგინოთ სიმართლე - როგორია ყვავი?

მასწავლებელი - იმისათვის, რომ დავადგინოთ, სინამდვილეში როგორია ყვავი, ლიტერატურული ნაწარმოებების შესწავლა საკმარისი არ არის. დახმარებისთვის მეცნიერებს უნდა მივმართოთ. მეცნიერები დააკვირდნენ ყვავს და ვიდეოფირზე აღბეჭდეს თავიანთი დაკვირვებები. მოდით, ერთად ვნახოთ ეს დოკუმენტირი ვიდეოები და შემდეგ ვიმსჯელოთ:

ვიდეოფილმები:

1. https://www.youtube.com/watch?v=OYZnsO2ZgWo(0:40წთ)
(ვიდეოში აღბეჭდილია ექსპერიმენტი ყვავზე - ყვავი მოხრის მავთულს და ამის დახმარებით ამოიღებს ნივთს მინის ჭურჭლიდან).

2. https://www.youtube.com/watch?v=BGPGknpq3e0&feature=share (2:15წთ)
ყვავი სხვადასხვა სიმაღლიდან აგდებს კაკალს, რათა გატეხოს და შიგთავსი მიირთვას).

3. https://www.youtube.com/watch?v=F5t93VQmkpU (0:51წთ)
(ვიდეოში ჩანს ყვავი, რომელიც ხის პატარა ტოტის დახმარებით მოხერხებულად გამოიღებს ნივთს მოხრილი მილიდან).

4. https://www.youtube.com/watch?v=ZerUbHmuY04 (3:17წთ) (ვიდეოში ჩანს 7 პატარა ექსპერიმენტი - როგორ ახერხებს ყვავი, ვიწროყელიანი წყლიანი კოლბიდან ამოიღოს ნივთი).

აქტივობა მეოთხე (5წთ) - რას ვფიქრობდით? რა წავიკითხეთ? რა ვნახეთ?
მასწავლებელი ფილმებით გადმოცემული მასალის უკუკავშირის მიზნით მოსწავლეებს მიმართავს კიხვებით:

- ამ ფილმებში გამოკვეთილი ყვავის თვისებებიდან რომელი გაქვთ პირველ სქემაში აღნიშნული?
- სინამდვილეში, როგორი თვისებებით ხასიათდება ყვავი?

აქტივობა მეხუთე (5 წთ) - მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს - მიღებულ ინფორმაციაზე დაყდრნობით, წყვილებმა შექმნით საინფორმაციო პოსტერი „სინამდვილეში ყვავი ასეთია“ და გამოაკარით საკლასო ოთახში საგამოფენო კედელზე.

მოსწავლეთა ნამუშევრები



საშინაო დავალება- მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, საშინაო დავალების რვეულებში შეავსონ სქემა:

რა წარმოდგენა მქონდა ყვავზე?	**რა გავიგე ფილმიდან და ტექსტიდან?**	**ახლა რა შემიძლია ყვავზე ვთქვა?**

8.შეფასების ინსტრუმენტები

მასწავლებელმა მოსწავლე შეიძლება შეაფასოს შემდეგი კრიტერიუმებით:

1. მოსწავლემ მასალის წაკითხვამდე აქტიურად გამოხატა წინარე ცოდნა და დამოკიდებულება ყვავის მიმართ?
2. მოსწავლემ ივარაუდა, წაკითხულ ტექსტში რა შეიძლება იყოს გამონაგონი?
3. მოსწავლემ დოკუმენტური ფილმების ნახვის შემდეგ იმსჯელა ყვავის რეალურ თვისებებზე? გამიჯნა ნამდვილი და გამონაგონი?
4. მოსწავლემ მიწოდებული მასალის საფუძველზე გადააფასა ძველი ცოდნა, საკუთარი შეხედულებები (დაფუძნებული: ზღაპრებზე, ურბანულ ლეგენდებზე, ნახატ ანიმაციურ ფილმებზე) და ახალი, არგუმენტირებული (ექსპერიმენტები, კვლევები, დოკუმენტური მასალა) ცოდნის გამოყენებით შექმნა ვიზუალური, საპრეზენტაციო მასალა „სინამდვილეში ყვავი ასეთია“.

მასწავლებლის დამხმარე რუბრიკა განმავითარებელი შეფასებისთვის

		იოლად შეძლო	გაუჭირდა	ვერ შეძლო	რა რეკომენდაცია მივცე?
1	მოსწავლემ მასალის წაკითხვამდე აქტიურად გამოხატა წინარე ცოდნა და დამოკიდებულება ყვავის შესახებ?				
2	მოსწავლემ ივარაუდა, წაკითხულ ტექსტში რა შეიძლება იყოს გამონაგონი?				
3	მოსწავლემ დოკუმენტური ფილმების ნახვის შემდეგ იმსჯელა ყვავის რეალურ თვისებებზე? გამიჯნა ნამდვილი და გამონაგონი?				
4	მოსწავლემ მიწოდებული მასალის საფუძველზე **გადააფასა** ძველი ცოდნა, საკუთარი შეხედულებები (დაფუძნებული: ზღაპრებზე, ურბანულ ლეგენდებზე, ნახატ ანიმაციურ ფილმებზე) და ახალი, არგუმენტირებული(ექსპერიმენტები,				

	კვლევები, დოკუმენტური მასალა) ცოდნის გამოყენებით **შექმნა** ვიზუალური, საპრეზენტაციო მასალა „სინამდვილეში ყვავი ასეთია“				

9. გამოყენებული ლინკები:

1. https://www.youtube.com/watch?v=OYZnsO2ZgWo

2. https://www.youtube.com/watch?v=BGPGknpq3e0&feature=share

3. https://www.youtube.com/watch?v=F5t93VQmkpU

4. https://www.youtube.com/watch?v=ZerUbHmuY04